„დამტკიცებულია“
უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის
28 ივლისის №3 განკარგულებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრთა და აპარატის თანამშრომელთა პრემიის კომისიის
დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულების მიზანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისათვის, როგორც პრემირებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვაზე უფლებამოსილი პირისათვის, სათანადო წინადადებებისა და მოსაზრებების მომზადება, კომისიის წევრთა და აპარატის თანამშრომელთა საპრემიო თანხის სამართლიანი და ობიექტური განაწილებისათვის.

2. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს პრემირების განაწილების კომისიის (შემდგომში კომისია) მუშაობის ორგანიზაციას, სტრუქტურას, საქმიანობის პრინციპებსა და სამართლებრივ საფუძვლებს.

3. კომისია თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს შრომის კოდექსის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტით.

მუხლი 2. პრემიის გაცემის კრიტერიუმები

პრემიის გაცემის კრიტერიუმებია:

1. დაკისრებული მოვალეობათა ჯეროვნად შესრულება.

2. სამუშაო დროით განსაზღვრული საათების შემდეგ სამსახურებრივი აუცილებლობით განპირობებული საქმიანობა.

3. უქმე და დასვენების დღეებში მუშაობა.

4. მნიშვნელოვან დავალებათა დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულება.

5. შინაგანაწესით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვა.

მუხლი 3. დაფინანსების წყარო

უსკოს კომისიის წევრებზე და აპარატის თანამშრომლებზე პრემიის გაცემა ხორციელდება, უსკოს ბიუჯეტით გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების (პრემიის) ფონდის ფარგლებში და შრომის ანაზღაურების ფონდში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე.

მუხლი 4. კომისიის წევრთა შემადგენლობა და ხელმძღვანელობა

1. კომისიის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება 3 წევრის ოდენობით.

2. კომისია შედგება უსკოს კომისიის წევრებისა და უსკოს აპარატის თანამშრომლებისაგან.

3. კომისიის წევრებს ბრძანებით ნიშნავს უსკოს თავმჯდომარე.

4. კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს ირჩევს კომისია თავისი შემადგენლობიდან სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

5. კომისიის თავმჯდომარეს კომისია ირჩევს, უსკოს თავმჯდომარის წარდგინებით, ხოლო კომისიის მდივანს კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით.

მუხლი 5. კომისიის ფუნქციები

1. კომისია ახორციელებს პრემიის თანხის რაოდენობის განსაზღვრას უსკოს კომისიის წევრებსა და აპარატის თანამშრომლებზე უსკოს საპრემიო და სახელფასო ფონდებში არსებული თანხების შესაბამისად.

2. კომისია პრემიის თანხის განსაზღვრისას ხელმძღვანელობს ამ დებულების მე-2 მუხლითა და უსკოს შინაგანაწესით გათვალისწინებული კრიტერიუმებით.

მუხლი 6. კომისიის საქმიანობის წესი

1. კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს სხდომების მეშვეობით

2. სხდომებს იწვევს და ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არ ყოფნისას კომისიის მდივანი ან კომისიის გადაწყვეტილებით ერთ-ერთი წევრი.

3. მდივანის არყოფნის შემთხვევაში ან თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებისას მის მოვალეობას ასრულებს კომისიის ერთ-ერთი წევრი კომისიის გადაწყვეტილებით.

4. კომისიის სხდომები იმართებ თვეში ერთხელ მაინც, საჭიროებისამებრ შესაძლებელია რიგგარეშე სხდომის მოწვევა, კომისიის თავმჯდომარის ან კომისიის არანაკლებ ორი წევრის მოთხოვნით.

5. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

6. კომისიის წევრები კომისიის მუშაობაში მონაწილეობენ პირადად.

7. კომისია თითოეული თანამშრომლის საქმიანობის შეფასების შედეგად ამზადებს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისათვის წარსადგენ წინადადებებსა და მოსაზრებებს საპრემიო თანხების რაოდენობის განსაზღვრისა და გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ და აღნიშნულთან დაკავშირებით, ღებულობს გადაწყვეტილებას. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე

დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით, ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის ხმა გადამწყვეტია.

8. კომისიის სხდომაზე მდივნის მიერ ფორმდება შესაბამისი ოქმი, რომელსაც ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და კომისიის წევრები.

9. კომისიის გადაწყვეტილება უსკოს თავმჯდომარეს წარედგინება კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 2 დღისა. გადაწყვეტილების წარდგენის ფორმას განსაზღვრავს კომისია.

10. კომისიის მიერ წარდგენილი გადაწყვეტილება საპრემიო თანხების რაოდენობის განსაზღვრის და/ან პრემიის გაცემის თაობაზე არის სარეკომენდაციო ხასიათის და იგი არ არის სავალდებულოდ შესასრულებელი. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს და გადაწყვიტოს პრემიის გაცემის ან მის გაცემაზე უარის თქმის საკითხები.

მუხლი 7. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება უსკოს განკარგულებით.